

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების (შემდგომში – ასოცირების შეთანხმება) თანახმად, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება თავისი კანონმდებლობა დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას. ასოცირების შეთანხმების მე-7 თავის 323-ე მუხლის მიხედვით, საქართველომ უნდა მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმების XV-A დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან, კერძოდ 2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივასთან ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ.

კანონპროექტის შემუშავება მიზნად ისახავს სწორედ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ ბანკს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ენიჭება ახალი უფლებამოსილება, კერძოდ, დამატებითი ზედამხედველობის განხორციელების უფლება ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული სუბიექტების მიმართ, მათი შესაბამისი კომპეტენციის გათვალისწინებით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად საქართველოს კანონმდებლობაში აისახება ფინანსური კონგლომერატის დეფინიცია და აღნიშნულთან დაკავშირებით ჩამოყალიბდება საზედამხედველო ჩარჩო. კერძოდ, შესაბამის საზედამხედველო ორგანოებს მიენიჭება ფინანსური კონგლომერატის დონეზე დამატებითი ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით დამატებითი ზედამხედველობის უფლებამოსილება ენიჭება შესაბამის საზედამხედველო ორგანოებს. აღნიშნულის განხორციელება მოხდება იმ სექტორული საზედამხედველო წესების პარალელურად, რომლის უფლებამოსილებაც არსებობს დღეის მდგომარეობით შესაბამისი დაწესებულებების დონეზე.

კანონპროექტი ადგენს ფინანსური კონგლომერატის დეფინიციას და ამასთან, გაწერს რამდენიმე ტერმინს, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დირექტივის მსგავსად არ არის მოწესრიგებული. მათ შორის, კანონპროექტი აყალიბებს

კოორდინატორის დეფინიციას, მისი არჩევის პროცედურებს და უფლებამოსილებებს. კერძოდ:

ფინანსური კონგლომერატის დამატებითი ზედამხედველობის ადეკვატურად და ეფექტურად განხორციელების მიზნით საზედამხედველო ორგანოთაგან განისაზღვრება დამატებითი ზედამხედველობის კოორდინაციასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანო - კოორდინატორი. კოორდინატორის დანიშვნის თაობაზე საზედამხედველო ორგანოთა ერთობლივი გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს საზედამხედველო ორგანოების ოფიციალურ ვებგვერდებზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური კონგლომერატის სათავეში რეგულირებული საწარმოა, კოორდინატორად ინიშნება ის საზედამხედველო ორგანო, რომელმაც შესაბამისი სექტორული ზედამხედველობის წესების შესაბამისად აღნიშნული რეგულირებული საწარმოს საქმიანობაზე ნებართვა/ლიცენზია გასცა ან განახორციელა აღნიშნული საწარმოს რეგისტრაცია.

ხაზგასასმელია, რომ თუ ფინანსური კონგლომერატის სათავეში არ არის რეგულირებული საწარმო, კანონპროექტით გათვალისწინებულია კოორდინატორის დანიშვნისათვის შემდეგი პირობები:

ა) თუ ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოს მშობელი საწარმო არის შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმო, კოორდინატორად დაინიშნება ის საზედამხედველო ორგანო, რომელმაც ასეთ რეგულირებულ საწარმოს საქმიანობაზე ნებართვა/ლიცენზია გასცა ან განახორციელა მისი რეგისტრაცია შესაბამისი სექტორული ზედამხედველობის წესების შესაბამისად;

ბ) თუ ფინანსურ კონგლომერატში შემავალი ერთზე მეტი საწარმო, რომლებიც საქმიანობენ სხვადასხვა ფინანსურ სექტორში, ლიცენზირებულნი/რეგისტრირებულნი არიან საქართველოში, სადაც შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ საწარმოს აქვს სათავო ოფისი, კოორდინატორად უნდა დაინიშნოს უდიდეს ფინანსურ სექტორში არსებული რეგულირებული საწარმოს საზედამხედველო ორგანო;

გ) თუ ფინანსურ კონგლომერატს არ ჰყავს ჯგუფის დონეზე მშობელი საწარმო გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, ყველა სხვა შემთხვევაში, კოორდინატორად დაინიშნება უდიდესი ფინანსური სექტორის უდიდესი საბალანსო ღირებულების მქონე რეგულირებული საწარმოს ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ან რეგისტრაციის განმახორციელებელი საზედამხედველო ორგანო.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, საზედამხედველო ორგანოებმა, საერთო შეთანხმებით, შესაძლოა, უარი თქვან რომელიმე კრიტერიუმზე, თუ მისი გამოყენება არარელევანტურია ფინანსური კონგლომერატის სტრუქტურის გათვალისწინებით და კოორდინატორად დაინიშნონ სხვა საზედამხედველო ორგანო. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე, საზედამხედველო ორგანოები ამ საკითხის შესახებ შეატყობინებენ ფინანსურ კონგლომერატს, რომელსაც უნდა მიეცეს სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა წინამდებარე გადაწყვეტილებასთან მიმართებით.

რაც შეეხება კოორდინატორის ამოცანებს, კანონპროექტის მიხედვით დამატებითი ზედამხედველობის ფარგლებში, კოორდინატორის მიერ განსახორციელებელი ამოცანები მოიცავს შემდეგს:

ა) ფინანსურ კონგლომერატში შემავალ საწარმოთა ჩვეულებრივი საქმიანობის ციკლისა და კრიზისული სიტუაციების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება/შეგროვების პროცესის კოორდინაცია და მიწოდება საზედამხედველო ორგანოებისათვის. აღნიშნულში მოიაზრება სხვა ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც მნიშვნელოვანია ეფექტური საზედამხედველო პროცესის წარმართვისათვის;

ბ) ფინანსური კონგლომერატის ფინანსური მდგომარეობის მიმოხილვა და შეფასება;

გ) ფინანსური კონგლომერატის კანონის შესაბამის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება;

დ) ფინანსური კონგლომერატის სტრუქტურის, ორგანიზაციული მოწყობისა და შიდა კონტროლის სისტემის შეფასება ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

ე) საზედამხედველო ქმედებების დაგეგმვა და კოორდინაცია როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის ციკლის, აგრეთვე, კრიზისული სიტუაციების პერიოდებისთვის შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობით;

ვ) კანონიდან და დამატებითი ზედამხედველობის მიზნებიდან გამომდინარე სხვა ამოცანები, ზომები და გადაწყვეტილებები.

დამატებითი ზედამხედველობის ეფექტურად განხორციელებისა და ხელშეწყობის მიზნით, კოორდინატორმა და შესაბამისმა საზედამხედველო ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ შესაბამისი საკოორდინაციო ზომები. აღნიშნული საკოორდინაციო ზომები ასევე გაწერილია კანონპროექტის ფარგლებში.

კოორდინატორი უფლებამოსილია, დამატებითი ზედამხედველობის პროცესში საჭირო ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) გამოითხოვოს იმ საზედამხედველო ორგანოსგან, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას სექტორული ზედამხედველობის წესების შესაბამისად ფლობს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინფორმაციის მიწოდების პროცესის გაჭიანურება და პროცედურათა დუბლირება.

კოორდინატორის მიერ დამატებითი საზედამხედველო ფუნქციათა განხორციელება არ უნდა აფერხებდეს საზედამხედველო ორგანოების მიერ სექტორული საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებას.

საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის დაცვით, შესაძლოა, ამ კანონით გათვალისწინებული თანამშრომლობა და კოორდინაცია მესამე სახელმწიფოთა საზედამხედველო ორგანოებს შორის, განხორციელდეს საზედამხედველო კოლეჯების მეშვეობით.

კოორდინაციის მიზნით საზედამხედველო ორგანოებს (მათ შორის, მესამე სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოებთან) შორის შესაძლოა, გაფორმდეს წერილობითი შეთანხმებები, მათ შორის, მემორანდუმები, რომლებშიც დეტალურად იქნება განსაზღვრული საზედამხედველო ორგანოებს შორის საკოორდინაციო და პროცედურული საკითხები. ამასთან, კოორდინატორი, როგორც საზედამხედველო კოლეჯის თავმჯდომარე, განსაზღვრავს კოლეჯის წევრ საზედამხედველო ორგანოებს.

ფინანსური კონგლომერატის ცნების დონეზე მოწესრიგების პარალელურად, დირექტივის შესაბამისად, კანონპროექტი ადგენს იმ ძირითად კრიტერიუმებს, რომელიც

სავალდებულოდ გასათვალისწინებელია შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს მიერ მსგავსი სუბიექტის იდენტიფიცირებისას.

სექტორული ზედამხედველობის წესებისგან დამოუკიდებლად, დამატებით ზედამხედველობას ფინანსურ სექტორში შემავალი შემდეგი რეგულირებული საწარმოები ექვემდებარებიან:

ა) რეგულირებული საწარმო, რომელიც ფინანსური კონგლომერატის სათავეშია;

ბ) რეგულირებული საწარმო, რომლის მშობელი საწარმო შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმოა, რომელსაც სათავე ოფისი საქართველოს ტერიტორიაზე აქვს;

გ) რეგულირებული საწარმო, რომელიც სხვა ფინანსური სექტორის მონაწილესთან დაკავშირებულია:

გ.ა) ერთობლივი მართვით; ან

გ.ბ) ისეთი კავშირით, როდესაც საწარმოების მმართველობითი ორგანოების წევრთა ნახევარზე მეტი ერთი და იგივე პირია ფინანსური წლის განმავლობაში კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების თარიღამდე.

საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილნი არიან, შეაფასონ ფინანსური კონგლომერატის შემადგენლობაში არსებული არარეგულირებული საწარმოებიდან მომდინარე პოტენციური/არსებული რისკები და მათი გავლენა ფინანსური კონგლომერატის რისკის პროფილზე.

აღსანიშნავია, რომ რეგულირებული საწარმო, რომელზეც არ ვრცელდება კანონპროექტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, შესაძლოა, დაექვემდებაროს დამატებით ზედამხედველობას ამ კანონპროექტის მე-18 მუხლის შესაბამისად, თუ ამ რეგულირებული საწარმოს მშობელი საწარმო არის ისეთი რეგულირებული საწარმო ან შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმო, რომელსაც სათავე ოფისი მესამე სახელმწიფოში აქვს.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი დეფინიციის და კრიტერიუმების გათვალისწინებით, ადგენს ჯგუფის ფინანსურ კონგლომერატად ცნობის შესახებ პროცედურასაც. აღნიშნულის მიხედვით, გადაწყვეტილებას კოორდინატორის წერილობითი ინიციატივის საფუძველზე, ერთობლივად წყვეტენ ის საზედამხედველო ორგანოები, რომლებმაც განახორციელეს ჯგუფში შემავალი შესაბამისი რეგულირებული საწარმოებისთვის შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება. ამ მიზნის მისაღწევად აღნიშნული ორგანოები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ.

ჯგუფის ფინანსურ კონგლომერატად ცნობის შესახებ კოორდინატორმა ჯგუფის ფინანსურ კონგლომერატად მიჩნევისა და კოორდინატორის დანიშვნის ფაქტის შესახებ ინფორმაცია თავის მიერ დადგენილი წესით უნდა მიაწოდოს ჯგუფის მშობელ საწარმოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს არ ჰყავს მშობელი საწარმო - ჯგუფის უდიდესი ფინანსური სექტორის უდიდესი საბალანსო ღირებულების მქონე რეგულირებულ საწარმოს.

კანონპროექტით გათვალისწინებული ფუნქციების და მიზნების შესრულებისათვის გაწერილია ინფორმაციის გაცვლის, მათი მიღების და გამოყენების სტანდარტები. აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ფინანსურ კონგლომერატში

შემაჯავლი საწარმოები, მიუხედავად იმისა არიან თუ არა რეგულირებული საწარმოები, უნდა უზრუნველყოფდნენ საზედამხედველო ორგანოების პირდაპირ თუ არაპირდაპირ წვდომას ნებისმიერ ინფორმაციასთან (მათ შორის კონფიდენციალური), რაც საჭიროა დამატებითი ზედამხედველობის ეფექტურად განსახორციელებლად.

გარდა ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფისა, კანონპროექტი ასევე გაწერს ინფორმაციის სისწორის დადასტურების (ვერიფიკაციის) ფარგლებს. კერძოდ, საზედამხედველო ორგანომ შესაძლოა, მოითხოვოს ინფორმაციის სისწორის დადასტურება (ვერიფიკაცია) ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელი მესამე სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოსგან ფინანსურ კონგლომერატში შემაჯავლი საწარმოს შესახებ (როგორც რეგულირებული, ისე არარეგულირებული). ის საზედამხედველო ორგანო, რომელსაც მეორე საზედამხედველო ორგანო მიმართავს ინფორმაციის სისწორის დადასტურების (ვერიფიკაციის) მიზნით, ვალდებულია, თავად დაადასტუროს ინფორმაციის სისწორე ან ამ მიზნით მიმართოს აუდიტორს/ექსპერტს ან ვერიფიკაციის მომთხოვნ საზედამხედველო ორგანოს მისცეს შესაძლებლობა, თვითონ განახორციელოს ინფორმაციის სისწორის შემოწმება.

საზედამხედველო ორგანო, რომელიც მოითხოვს ინფორმაციის სისწორის დადასტურებას (ვერიფიკაციას), უფლებამოსილია, მოითხოვოს ინფორმაციის სისწორის დადასტურების (ვერიფიკაციის) პროცესში ჩართვა.

კანონპროექტის მიზნების ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი მექანიზმების თუ ზომების შესახებ პროცედურა გაწერილია კანონპროექტის მე-16 მუხლში, რომლის თანახმადაც ფინანსურ კონგლომერატში შემაჯავლი რეგულირებული საწარმოს მიერ ამ კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების შესრულების მიუხედავად, საწარმოს კაპიტალის პოზიციას საფრთხე ემუქრება ან შიდაჯგუფური ტრანზაქციები და რისკის კონცენტრაცია საფრთხეს უქმნის რეგულირებულ საწარმოთა ფინანსურ პოზიციას, საზედამხედველო ორგანომ შესაძლოა, დამოუკიდებლად ან კოორდინატორის მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მიიღოს საზედამხედველო ზომები, მათ შორის, რეგულირებული საწარმოს მიმართ გამოიყენოს სექტორული ზედამხედველობის წესების გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე სანქცია.

აღნიშნულის დროს კოორდინატორი თითოეულ საზედამხედველო ორგანოს შეატყობინებს მოკვლევის შედეგებს, რის საფუძველზეც საზედამხედველო ორგანო სექტორული ზედამხედველობის წესების შესაბამისად გამოიყენებს ერთ ან რამდენიმე სანქციას მისი რეგულირების სფეროში მოქცეული საწარმოს მიმართ.

ხაზგასასმელია, რომ საზედამხედველო ორგანოებმა, მათ შორის კოორდინატორმა, საჭიროებისამებრ, უნდა უზრუნველყონ საზედამხედველო ქმედებების კოორდინაცია.

კანონპროექტი დამატებით უთითებს ფინანსურ კონგლომერატში შემაჯავლი რეგულირებული საწარმოების მიერ კანონის მოთხოვნათაგან გვერდის ავლის შემთხვევებზეც და გამორიცხვის ან აღკვეთის მიზნით საზედამხედველო ორგანოებს უდგენს უფლებამოსილებას კანონმდებლობის შესაბამისად მიიღონ ნებისმიერი საზედამხედველო ზომა.

კანონპროექტით ასევე მნიშვნელოვანი რეგულირებაა გათვალისწინებული მესამე სახელმწიფოს საკითხის მიმართ. კერძოდ, მე-18 მუხლის თანახმად:

სექტორული ზედამხედველობის წესების დაურღვევლად, კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ უნდა შეამოწმოს, არიან თუ არა ის რეგულირებული საწარმოები, რომელთა მშობელ საწარმოებსაც სათავო ოფისი მესამე სახელმწიფოში აქვთ, დამატებითი ზედამხედველობის ეკვივალენტურ ზედამხედველობას დაქვემდებარებულნი მესამე სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოს მხრიდან (ეკვივალენტური ზედამხედველობა) კანონპროექტის რეგულირებულ საწარმოთა დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროს ანალოგიურად. აღნიშნულის შეფასებისას საზედამხედველო ორგანომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაცია უნდა გაიაროს დანარჩენ საზედამხედველო ორგანოებთან.

საჭიროების შემთხვევაში, საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილნი არიან, გამოიყენონ სხვა, ამ კანონპროექტით დადგენილისაგან განსხვავებული, სექტორული საზედამხედველო წესებით გათვალისწინებული ღონისძიებები დამატებითი ზედამხედველობის მიზნებისათვის. თითოეული საზედამხედველო ღონისძიების გამოყენება შეთანხმებული უნდა იყოს კოორდინატორთან, რომელიც, თავის მხრივ, გაივლის კონსულტაციას სხვა საზედამხედველო ორგანოებთან. საზედამხედველო ორგანოები მუდმივად უნდა უზრუნველყოფდნენ აღნიშნული მეთოდების შესაბამისობას დამატებითი ზედამხედველობის მიზნებთან და მათ შესახებ ინფორმაციის მუდმივად მიწოდებას სხვა საზედამხედველო ორგანოებისათვის.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის განხორციელების 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ერთ-ერთ დაგეგმილ აქტივობად გაწერილია 2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივის, ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ მოთხოვნათა იდენტიფიცირება და შესაბამისი საკანონმდებლო აქტის პროექტის შემუშავება.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამასთან, ამ ეტაპზე საზედამხედველო ორგანოების (მათ შორის როგორც კოორდინატორის) მიერ კანონპროექტით გათვალისწინებული უფლებამოსილებებისა და ფუნქციების განხორციელება იგეგმება არსებული რესურსების (ბიუჯეტის) ფარგლებში. ამასთან, დამატებითი ხარჯების/რესურსის გამოყენების საჭიროება შესაძლებელია გამოვლინდეს სამომავლოდ საზედამხედველო ორგანოს (მათ შორის როგორც კოორდინატორის) მიერ ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების უშუალოდ განხორციელების პროცესში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას იქონიებს საზედამხედველო ორგანოს მიერ რეგულირებული საწარმოსთვის ფულადი ჯარიმის დაკისრების შედეგად განსაზღვრული გადახდები, ვინაიდან ფულადი ჯარიმის სახით დაკისრებული თანხები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება.

რაც შეეხება ფულადი ჯარიმების კონკრეტულ ოდენობას, აღნიშნული საზედამხედველო ორგანოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით განისაზღვრება და ფულადი ჯარიმის გამოყენება დამოკიდებული იქნება დარღვევის ხასიათსა და სიმძიმეზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ კანონპროექტით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება ამ ეტაპზე იგეგმება არსებული რესურსის (ბიუჯეტის) ფარგლებში. ამასთან, დამატებითი ხარჯების/რესურსის გამოყენების საჭიროება შესაძლებელია გამოვლინდეს სამომავლოდ სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების უშუალოდ განხორციელების პროცესში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონპროექტით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება ამ ეტაპზე იგეგმება არსებული რესურსის (ეროვნული ბანკის ბიუჯეტის) ფარგლებში. ამასთან, დამატებითი ხარჯების/რესურსის გამოყენების საჭიროება შესაძლებელია გამოვლინდეს სამომავლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების უშუალოდ განხორციელების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ ფინანსურ კონგლომერატად ცნობის პროცედურა რაიმე ტიპის ხარჯს არ მოითხოვს საწარმოებისთვის, თუმცა თუ რომელიმე ჯგუფი ცნობილი იქნება კონგლომერატად, კონგლომერატისთვის დადგენილი მოთხოვნების დასაცავად შესაძლოა საჭირო გახდეს საწარმოების მიერ დამატებითი ხარჯების გაწევა/დამატებითი რესურსის გამოყენება.

გასათვალისწინებელია რომ ამ ეტაპზე საწარმოთა არცერთი ჯგუფი არ აკმაყოფილებს ფინანსური კონგლომერატის კრიტერიუმებს. იმ შემთხვევაში თუ სამომავლოდ საწარმოთა რომელიმე ჯგუფი დაკვალიფიცირდება ფინანსურ კონგლომერატად, მათ მიმართ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას ფულადი ჯარიმა. ფულადი ჯარიმების კონკრეტული ოდენობა კი თითოეული დარღვევისათვის (მისი ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით) განისაზღვრება საზედამხედველო ორგანოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას, თუმცა კანონპროექტით გათვალისწინებულია საზედამხედველო ორგანოს მიერ ფულადი ჯარიმების დაკისრების შესაძლებლობა ფინანსურ კონგლომერატში შემავალი საწარმოების მიმართ, შესაბამისი დარღვევების შემთხვევაში. ფულადი ჯარიმების კონკრეტული ოდენობა კი თითოეული დარღვევისათვის (მისი ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით) განისაზღვრება საზედამხედველო ორგანოს სამართლებრივი აქტით.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტი ზეგავლენას არ მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ²) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს, არამედ უკავშირდება 2002/87/EC დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება დაკავშირებულია ასოცირების შეთანხმების 323-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებასთან, რომლის თანახმად, საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XV-A დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად. ამავე (XV-A) დანართში მითითებულია საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება 2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივასთან ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

კანონპროექტი შესაბამისობაშია ასოცირების შეთანხმების XV-A დანართით გათვალისწინებულ 2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივასთან ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის დაკავშირებით გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა შესაბამის საზედამხედველო ორგანოსთან დაზღვევის სფეროში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს ეროვნული ბანკი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.